

ტოქსოკაროზის თვალისა და ქუთუთოს ფორმა

ილონა წერედიაი დოქტორანტი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კლინიკა “ვივამედის” ოფთალმოლოგიური დეპარტამენტი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2024.10.01.13>

აბსტრაქტი

ტოქსოკაროზი არის პარაზიტული დაავადება, რომელიც გამოწვეულია *Toxocara* სახეობის ჭიებით. ადამიანებში გავრცელებული ფორმები გულისხმობს ვისცერალურ და თვალის ტოქსოკაროზს. თვალის ფორმა იშვიათია, თუმცა სერიოზული გართულებებით ხასიათდება, რომლებიც გამოწვეულია ლარვების მიგრაციით თვალში. ამ სტატიის მიზანია, გააანალიზოს თვალისა და ქუთუთოს ტოქსოკაროზის კლინიკური ნიშნები, დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პრევენცია. მოთხრობა მოიცავს 2024 წელს დაფიქსირებულ პაციენტზე ჩატარებული კვლევების, ქირურგიული ჩარევებისა და მედიკამენტოზური მკურნალობის შედეგებს. პაციენტი განიკურნა შესაბამისი თერაპიის შემდეგ. სტატია ხაზს უსვამს დაავადების სერიოზულობას, დროული დიაგნოსტიკის და კომპლექსური მკურნალობის მნიშვნელობას, რათა შემცირდეს გართულებების რისკი და დაავადების გავრცელება.

საკვანძო სიტყვები: ტოქსოკაროზი, მკურნალობა, თვალის პარაზიტული დაავადება

Eye and eyelid form of toxocariasis

Ocular and eyelid form of toxocariasis

Ilona Tserediani PhD student.

Ivane Javakhishvili State University

Abstract: Toxocariasis is a parasitic disease caused by *Toxocara* species of worms. The most common forms in humans include visceral and ocular toxocariasis. The ocular form is rare but is characterized by severe complications resulting from the migration of larvae to the eye. The aim of this article is to analyze the clinical signs, diagnostics, treatment, and prevention of ocular and eyelid toxocariasis. The narrative includes findings from studies, surgical interventions, and pharmacological treatments conducted on a patient diagnosed in 2024. The patient was cured following appropriate therapy. The article emphasizes the seriousness of the disease and the importance of timely diagnosis and comprehensive treatment to reduce the risk of complications and the spread of the disease.

Keywords: toxocariasis, treatment, parasitic eye disease

ტოქსოკაროზის თვალისა და ქუთუთოს ფორმა

ტოქსოკაროზი წარმოადგენს პარაზიტულ დაავადებას, რომელიც გამოწვეულია *Toxocara* სახეობის ჭიებით (*Toxocara canis* ან *Toxocara cati*). დაავადება გვხვდება როგორც ადამიანებში, ისე ცხოველებში. ადამიანებში ტოქსოკაროზის გავრცელებული ფორმებია ვისცერალური და თვალის ფორმა, რომელიც შედარებით იშვიათი, მაგრამ სერიოზული გართულებებით ხასიათდება.

ეტიოლოგია და ეპიდემიოლოგია

თვალის ტოქსოკაროზი გამოწვეულია *Toxocara*-ს ლარვების მიგრაციით, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში ხვდებიან კვებითი გზით (ინფიცირებული ნიადაგით დაბინძურებული საკვების ან წყლის მიღების შედეგად). დაავადება განსაკუთრებით ხშირია ბავშვებში და ცხოველებთან ახლოს მყოფ ადამიანებში. სიხშირე მეტია ისეთ ადგილებში, სადაც სავალდებულო დეჰელმინთიზაცია არ ტარდება.

სტატისტიკის მიხედვით, ტოქსოკაროზის სეროპოზიტიურობა მთელს მსოფლიოში მერყეობს 5-დან 30%-მდე, რეგიონების მიხედვით. განვითარებად ქვეყნებში ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია, 50%-ს აღწევს ზოგიერთ სოფლის რეგიონში. თვალის ტოქსოკაროზის შემთხვევები შეადგენს ყველა დიაგნოსტირებული ტოქსოკაროზის დაახლოებით 1-5%-ს.

კლინიკური სიმპტომატიკა

თვალის ტოქსოკაროზი იწვევს სპეციფიკურ კლინიკურ სინდრომებს, რომლებიც დამოკიდებულია ლარვების ლოკალიზაციაზე თვალის ქსოვილებში. ძირითადი გამოვლინებებია:

1. **ქუთუთოს შეშუპება და ანთება** – დაავადება ხშირად იწყება ქუთუთოს შეშუპებით, რომელიც გამოწვეულია ლოკალური ანთებითი რეაქციით.
2. **ქორიორეტინიტი** – ლარვების მიერ გამოწვეული ანთება ბადურაში; შესაძლებელია მხედველობის დაკარგვა.
3. **მხედველობის დაქვეითება** – დამახასიათებელია მხედველობის ბინდის შეგრძნება, გაუმჭვირვალობა და ზოგჯერ სრულად დაკარგვა.
4. **სტრაბიზმი** – განსაკუთრებით ხშირია ბავშვებში.

ანთებითი მასები (გრანულომები) – გვხვდება როგორც ბადურაში, ისე ქოროიდში, რასაც თან ახლავს ქსოვილების დესტრუქცია.

პაციენტის კლინიკური შემთხვევის აღწერა და მკურნალობის პროცესი

ანამნეზი	და	საწყისი	ჩივილები
1996 წელს დაბადებული პაციენტი რ.გ. მოგვმართა 2024 წლის ივლისში, ჩივილით: მარცხენა თვალის ქვედა ქუთუთოს შეშუპება, ტკივილი, დაბუჟების შეგრძნება და კანქვეშ უცხო სხეულის მოძრაობის შეგრძნება (სურ.1,2,3,4) პაციენტის გადმოცემით,			

პალპაციით და ვიზუალურადაც აღიქვამდა უცხო სხეულს მარცხენა თვალის ქვედა ქუთუთოს კანქვეშ.

პაციენტის ინფორმაციით, აღნიშნული ჩივილები გამოუვლინდა 2024 წლის მარტში, რის შემდეგაც მიმართა ოფთალმოლოგს. დაესვა დიაგნოზი "ალერგიული ბლეფარიტი" და დაენიშნა შესაბამისი მკურნალობა, თუმცა მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო.

პაციენტის მდგომარეობა პროგრესულად გაუარესდა, მოიმატა ტკივილმა და უცხო სხეულის მოძრაობის შეგრძნებამ.

პაციენტმა მოგვმართა (2024 წლის ივლისში). მას ჩაუტარდა კლინიკურ-ლაბორატორიული-ინსტრუმენტული კვლევები. ექოსკოპიურად მარცხენა თვალის ქვედა ქუთუთოს მედიალურ კვადრანტში აღმოჩენილ იქნა, ინკაფსულირებული უცხო სხეული(პარაზიტი).პაციენტს ჩაუტარდა ქირურგიული ჩარევა ოფთალმოლოგის მიერ უცხო სხეულის ევაკუაციის მიზნით. ოპერაციის შედეგად ამოღებულ იქნა უცხო სხეული – პარაზიტი. ქირურგიული ჩარევის შემდეგ პაციენტის მდგომარეობა გაუმჯობესდა

2024 წლის ნოემბერში პაციენტმა კვლავ მოგვმართა. ამჯერად მას აღენიშნებოდა თვალბუდის ტკივილი, რომელიც ირადიაციას იძლეოდა ჰაიმორის წიაღსა და შუბლის არეში. ლაბორატორიულმა კვლევებმა დაადასტურა ტოქსოკაროზი.

პაციენტს დაენიშნა მედიკამენტოზური მკურნალობის კურსი, პარაზიტოლოგის მიერ. მკურნალობის პერიოდში, შუბლის არეში, წარბებს შორის ჩამოუყალიბდა აბსცესი, რომლის შიგთავსიც იყო უცხო სხეული(პარაზიტი). პაციენტს ყბა-სახის ქირურგის მიერ ჩაუტარდა ქირურგიული ჩარევა, რის შედეგადაც ამოყვანილ იქნა პარაზიტი (სურ.5) ზემოთ აღნიშნული ქირურგიული და კონსერვატიული თერაპიის შემდეგ პაციენტი გამოჯანმრთელდა.



სურ.1




სურ.2



სურ.3



სურ.4



დიაგნოზი

თვალის ტოქსოკაროზის დიაგნოსტიკა ეფუძნება შემდეგ მახასიათებლებს:

1. **კლინიკური სურათი** – სიმპტომები და სინდრომები, რომლებიც თავსებადია ტოქსოკაროზთან.
2. **სეროლოგიური კვლევები** – *ELISA* მეთოდი, რომელიც ადასტურებს სპეციფიკური ანტისხეულების არსებობას (IgG).
3. **რადიოლოგიური კვლევები** – ულტრაბგერა და კომპიუტერული ტომოგრაფია, რომლებიც გამოვლენისას ეხმარებიან გრანულომებსა და სხვა დაზიანებებს.
4. **ოფთალმოსკოპია** – ბადურასა და ქოროიდის დაზიანებების ვიზუალიზაცია.

მკურნალობა

თვალის ტოქსოკაროზის მართვა მოიცავს სამედიცინო და ქირურგიულ მიდგომებს:

1. ანტიჰელმინთური თერაპია – ალბენდაზოლი და მებენდაზოლი ეფექტურია ლარვების წინააღმდეგ. დოზა და კურსის ხანგრძლივობა ინდივიდუალურად განისაზღვრება.
2. კორტიკოსტეროიდები – გამოიყენება ანთებითი პროცესების შესამცირებლად.
3. ქირურგიული ჩარევა – საჭირო ხდება გრანულომების ან ბადურას მნიშვნელოვანი დაზიანების შემთხვევაში.

პრევენცია

თვალის ტოქსოკაროზის თავიდან აცილება შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებებით:

1. რეგულარული დეჰელმინთიზაცია შინაური ცხოველებისთვის.
2. ჰიგიენის წესების დაცვა, მათ შორის ხელების რეგულარული დაბანა და კარგად გარეცხილი საკვების მიღება.
3. ნიადაგის დაბინძურების პრევენცია, განსაკუთრებით სათამაშო მოედნებზე და ბაღებში.

დასკვნა

თვალის და ქუთუთოს ტოქსოკაროზი სერიოზული დაავადებაა, რომელიც საჭიროებს დროულ დიაგნოსტიკასა და მართვას. ყურადღება უნდა მიექცეს როგორც სამედიცინო მკურნალობას, ისე პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რათა შემცირდეს დაავადების გავრცელების და გართულებების რისკი.

ლიტერატურა

1. Smith, H., Holland, C. V., Taylor, M. R. et al. "Toxocara and human toxocariasis". Advances in Parasitology, 2009.
2. Ma G, Holland CV, Wang T, Hofmann A, Fan CK, Maizels RM, Hotez PJ, Gasser RB. Human toxocariasis. The Lancet Infectious Diseases. 2018 Jan 1;18(1):e14-24.

3. Magnaval JF, Glickman LT, Dorchies P, Morassin B. Highlights of human toxocariasis. The Korean journal of parasitology. 2001 Mar;39(1):1.
4. Centers for Disease Control and Prevention (CDC). "Parasites - Toxocariasis". <https://www.cdc.gov/parasites/toxocariasis/>
5. Taylor MR. Ocular toxocariasis. In Toxocara: the enigmatic parasite 2006 (pp. 127-144). Wallingford UK: CABI Publishing.
6. Jasim SY, Hadi AM. A review study for Toxocariasis. GSC Biological and Pharmaceutical Sciences. 2021 Sep 30;16(3):191-9.
7. da Silva LS, Dias IH, Fonseca ÁL, Enk MJ, Nogueira JF, de Oliveira Goveia C. Epidemiological profile of human toxocariasis in patients examined at Evandro Chagas Institute (IEC/SVSA/MS) between 2014 and 2019. Comparative Immunology, Microbiology and Infectious Diseases. 2024 Feb 1;105:102112.